# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № __66__

## გამარტივებული შესყიდვა

92300000-გასართობი ღონისძიებები

თბილისი --07--_ --12-- _2012 წ

### ხელშეკრულების დამდები მხარეები.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ აჭარის(ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტი (ქ. თბილისი, აღმაშენებლის 89/24. ს/კ 253073365, სს ``ლიბერთი ბანკი``-ს ცენტრალური ფილიალი , *ბ/კ LBRTGE22, ა/ნ 340816770, ტელ: 577 251001 2 951295* ) წარმოდგენილი საკრებულოს თავჯდომარის, სპარტაკ გურჩიანის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს შემოქმედებითი გაერთიანება „ლომისი``(ს/კ 202294310 მის. ქ. თბილისი მელიქიშვილის გამზირი №1 სს ,,თიბისი ბანკი“ ბ/კTBCBGE22 ა/ნ GE81TB0600000303467383 ტელ:593968060) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ბაღაშვილის სახით (შემდგომში ``მიმწოდებელი``) შორის.

### 1. ხელშეკრულების საგანი.

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ``მიმწოდებლი``-ს მიერ ``შემსყიდველი``-სათვის გასართობ ღონისძიებაზე, „იუმორინას“ კონცერტზე, დასასწრები ბილეთების მიწოდება. ღონისძიების ბილეთები არის 10 და 15 ლარის ღირებულების. 226X10=2260 ლარი, 36X15=540 ლარი.

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულებაა 2800(ორიათასრვაასი) ლარი და 00 თეთრი.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მოსაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3 შესყიდვა ხორციელდება აჭარის(ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით.

### 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია :

ა) მომსახურების მისაღებად საჭირო მიწოდებულ საქონელზე(ბილეთები) წარუდგინოს შემსყიდველს კრებსითი ანგარიშ-ფაქტურა, გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე.

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

3.4 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 5(ხუთი) დღის განმავლობაში უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა მითითებული ოდენობით.

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

### 4 საქონლის ხარისხი და გარანტია

ღონისძიების ხარისხი უნდა იყოს მაღალი, შეესაბამებოდეს მოთხოვნებს და ექვემდებარებოდეს სახელმწიფოში არსებულ სტანდარტებს.

### 5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, აჟარის(ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ზური გუჯეჯიანს.

5.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ შესყიდვის ობიექტი უხარისხო აღმოჩნდება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადებში აღმოფხვრას ყველანაირი ხარვეზი.

5.3მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ კონტროლის(ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა მომსახურების პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის(ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

### 6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების მისაღებად საჭირო საქონლის(ბილეთების) მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით.

6.2 საქონლის მიღებას აწარმოებს აჟარის(ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ზური გუჯეჯიანი.

6.3 თუ მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.

### 7. ანგარიშწორება

7.1 ანგარიშწორების ვალუტა -ლარი.

7.2 ანგარიშწორების ფორმა -უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ანგარიშწორება მოახდინოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5(ხუთი) დღის განმავლობაში.

7.4 თუ ანგარიშწორება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს.

### 8 პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5(ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოსხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 9 ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

### 10 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 ლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლისა.

### 11 სხვა პირობები

11.1 ხელშსეკრულება შედგენილია სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

11.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი ეგზემპლარი შემსყიდველს.

### 12 მხარეთა რეკვიზიტები

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
| --- | --- |
| აჭარის(ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტი (ქ. თბილისი, აღმაშენებლის 89/24. ს/კ 253073365, სს ``ლიბერთი ბანკი``-ს ცენტრალური ფილიალი, ა/ნ 340816770, ბ/კ LBRTGE22 ტელ: 577 251001 2 951295) | შპს ``შემოქმედებითი გაერთიანება ლომისი``(ს/კ 202294310 მის. ქ. თბილისი მელიქიშვილის გამზირი №1 სს „თიბისი ბანკი" ბ/კTBCBGE22 ა/ნ GE81TB0600000303467383 ტელ:593968060) |
| ............................................. | ............................................. |
| საკრებულოს თავმჯდომარე სპარტაკ გურჩიანი | დირექტორი გიორგი ზაღაშვილი |